მშობელთა კომიტეტის დებულება

1. ზოგადი ნაწილი

1.1. მშობელთა კომიტეტი წარმოადგენს შპს ედისონის სახელობის სკოლა ნოვაციის მოსწავლეთა მშობლებისა და/ან კანონიერი წარმომადგენლების ნებაყოფლობით გაერთიანებას.
1.2. კომიტეტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის საქართველოს კანონით „ზოგადი განათლების შესახებ“, შპს ედისონის სახელობის სკოლა ნოვაციის შიდა რეგულაციებით და ამ დებულებით, სკოლის ხელმძღვანელოების რეკომენდაციებით და მშობელთა კომიტეტის გადაწყვეტილებებით.
1.3. კომიტეტის საქმიანობა ეფუძნება თანასწორობის, გამჭვირვალობის, ნებაყოფლობითობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.
1.4. კომიტეტი საქმიანობას ახორციელებს შპს ედისონის სახელობის სკოლა ნოვაციის საგანმანათლებლო სივრცეში და მასთან თანამშრომლობით.

2. კომიტეტის მიზნები და ამოცანები

2.1. მოსწავლეთა ინტერესების დაცვა და მხარდაჭერა;
2.2. სასკოლო და არასასკოლო გარემოში სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა, რაც გათვალისწინებულია სკოლის შინაგანაწესით;
2.3. მშობლებს, სკოლასა და საზოგადოებას შორის თანამშრომლური და ჯანსაღი ურთიერთობების გაძლიერება სკოლის განვითარების მიზნით;
2.4. საგანმანათლებლო გარემოს გაუმჯობესებაში მონაწილეობის მიღება.
2.5. საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული ღონისძიებების ორგანიზება და მხარდაჭერა.
2.6. მშობლების ჩართულობის უზრუნველყოფა აკადემიურ პროცესებში;
2.7. სკოლაში მიმდინარე პროცესებზე ინფორმირებულობის ამაღლება;
2.8. სკოლის სტრატეგიულ დაგეგმვაში მშობლების მონაწილეობის გაძლიერება;
2.9. ინფორმაციის დროული გაზიარება სკოლის ადმინისტრაციასა და მშობელს შორის.
2.10. სკოლის მხარდაჭერა საგანმანათლებლო ექსკურსიების ორგანიზებაში;
2.11. ინკლუზიური და თანასწორი სასკოლო გარემოს ხელშეწყობა;

2.12. მშობელთა პასუხისმგებლობის და ცნობიერების ამაღლება ბავშვთა აღზრდაზე და მათი ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში.

3. კომიტეტის უფლება-მოვალეობები

3.1. მშობელთა კომიტეტის უფლებები:
ა) ადმინისტრაციას წარუდგინოს და განიხილოს წინადადებები სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესის, სკოლის განვითარების და არაფორმალური განათლების გაუმჯობესების მიზნით და განიხილოს ადმინისტრაციასთან
ბ) მოაწყოს ან ჩაერთოს სასკოლო ღონისძიებებში;
გ) მოითხოვოს სკოლისგან სრულყოფილი ინფორმაცია სასწავლო, აღმზრდელობით და დამატებით სერვისებსა და პროცესებზე;
3.2 მშობელთა კომიტეტის მოვალეობებია:
ა) უზრუნველყოს მოსწავლეთა კეთილდღეობის მხარდაჭერა;
ბ) ღონისძიებების ორგანიზების დროს დაეხმაროს სკოლას ორგანიზაციულ საკითხებში;
გ) ხელი შეუწყოს სკოლის რეპუტაციის დაცვას და სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით დასახული მიზნების განხორციელებას;
დ) მონაწილეობა მიიღოს სკოლაში ბავშვის უფლებების და უსაფრთხოების ნორმების დაცვაში.

4.კომიტეტის წევრობა

4.1.კომიტეტის წევრი შეიძლება იყოს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის მშობელი და/ან კანონიერი წარმომადგენელი.
4.2.მშობელთა კომიტეტი შედგება სკოლის თითოეული საფეხურის (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური) არჩეული წარმომადგენელი მშობლებისგან. თითოეული კლასიდან აიღჩევა ერთი (1) მშობელი.
4.3.მშობელთა კომიტეტის წევრები აირჩევა ერთი წლის ვადით ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში და ახდენენ მუშაობას კომიტეტზე დამტკიცებულია გეგმის მიხედვით. წევრობა არის ნებაყოფლობითი.
4.4.მშობელთა კომიტეტის წევრები პირველივე სხდომაზე, კომიტეტის წევრების დასწრების მინიმუმ ¾ -ით, ერთი წლის ვადით, ფარული კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით ირჩევს, ან უფლებამოსილებას ან უჩერებს კომიტეტის თავმჯდომარეს, რომელიც ადგენს შეხვედრის დღის წესრიგს, იწვევს კომიტეტის წევრებს დაგეგმილ კრებებზე. მას აქვს ასევე სკოლის წარმომაგდენლობითი უფლებამოსილება.
4.5.კომიტეტის თავმჯდომარე და წევრები არჩევის დღეს კომიტეტის წევრებიდან ნიშნავს თავმჯდომარის მოადგილეს, რომლის საქმიანობას განსაზღვრავს თავმჯდომარე;
4.6.მშობელთა კომიტეტის წევრები არიან დამაკავშირებელი რგოლი კლასის მშობლებსა და სკოლას შორის და უნდა აცნობიერებდნენ მშობლების, მასწავლებლებისა და სკოლის წინაშე საკუთარ პასუხისმგებლობას;
4.7.მშობელთა კომიტეტის წევრები იკრიბებიან წელიწადში არანაკლებ სამჯერ. კრება უფლებამოსილია კომიტეტის წევრთა ნახევარზე მეტის დასწრების შემთხვევაში;
4.8.მშობელთა კომიტეტში გადაწყვეტილებები მიიღება ხმათა უმრავლესობით;

4.9.მშობელთა კომიტეტის სხდომის მუშაობა აისახება სხდომის ოქმში;

4.10. თითოეული შეხვედრის კრების ოქმი ინახება კომიტეტის თავმჯდომარესთან;

4.11. კომიტეტის თავმჯდომარე ახდენს ანგარიშგებას განხორციელებული საქმიანობების შესახებ აკადემიური წლის ბოლოს;

4.12. კომიტეტის წევრის უფლებები:

- მონაწილეობა მიიღოს კომიტეტის საქმიანობაში;
- მიიღოს ინფორმაცია კომიტეტის საქმიანობის შესახებ.
- არჩეულ იქნას მმართველო ორგანოში.

4.13. კომიტეტის წევრის მოვალეობები:

- დაიცვას დებულება;
- ხელი შეუწყოს კომიტეტის მიზნების განხორციელებას;
- პატივი სცეს სხვა წევრების უფლებებს.

4.14. წევრობის შეწყვეტა ხდება პირადი განცხადების საფუძველზე ან დებულების დარღვევის შემთხვევაში კომიტეტის გადაწყვეტილებით.

5. დებულებაში ცვლილებების შეტანა

5.1.დებულებაში ცვლილებები და დამატებები მიიღება საერთო კრების მიერ ხმათა უმრავლესობით.

5.2.ცვლილებები ძალაში შედის დამტკიცებისთანავე, თუ კრების გადაწყვეტილებით სხვა ვადა არ არის განსაზღვრული.